საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	80	100

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

თარიღი : 09.07.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის ლევან კოკორაშვილის - შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ლევან კოკორაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას შევაფასე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლის საფუძველზე და ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით შევადგინე კანდიდატის შეფასების საბოლოო დასკვნა. ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები:
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; 2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; 3. პიროვნული და პროფესიული ქცევა; 4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; 5. ფინანსური ვალდებულება; *პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე, სამსახურეობრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგ: ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმის გადახდის დროს) და სხვა. მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით ლევან კოკორაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ

		დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მის მიერ შევსებული დეკლარაცია შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ უფიქსირდება. გამოკითხული რესპოდენტებიდან: კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. ყოველივე ზემოაღნიშნული და მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს. ***დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის პრინციპულობა, მის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა,

		პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად: ლევან კოკორაშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, გასაუბრებიდან გამომდინარე კანდიდატს არ გამოუხატავს მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა მოქალაქეთა ჯგუფების მიმართ. რეკომენდატორების დახასიათებით კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი, ობიექტური, სამართლიანი, თავშეკავებული, რაც იძლევა საფუძველს კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით კანდიდატი შეფასებული იქნას დადებითად. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

		კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად: ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა, კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა რამოდენიმე საქმეში. ასევე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლევან კოკორაშვილი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი იქცეოდა კორექტულად, იყო თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების შეფასების შედეგად, კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით ლევან კოკორაშვილი ვაფასებ დადებითად. ***პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად: გამოკითხული რესპოდენტებიდან კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი

		სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ იგი სენტიმენტალური და მგრძნობიარე, ფაქიზი ხასიათის ადამიანია, თუმცა მისივე განმარტებით, ამ თვისებებს სისუსტედ არ თვლის. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების შეფასების შედეგად, კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით ლევან კოკორაშვილი ვაფასებ დადებითად. ***ფინანსური ვალებულების მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის, შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაიის თანახმად: ლევან კოკორაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ლევან კოკორაშვილთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე სარეგისტრაციო ჩანაწერი.

			საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ლევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**25**	კომპეტენტურობის კრიტერიუმით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ლევან კოკორაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა; ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებას საფუძვლად დაედო კანდიდატის შესახებ

			მოძიებული ინფორმაცია, კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები და საჯარო მოსმენის შედეგად მის მიერ გადმოცემული პოზიცია, მოსაზრება და საერთო შთაბეჭდილება. *სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას ყურადღება ექცევა კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონეს. საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა სამართლებრივი კითხვა, კერძოდ, პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლების შესახებ, კანდიდატის მიერ აღნიშნულ კითხვაზე გაცემული პასუხიდან ვლინდება, რომ მას არ აქვს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების საკმარისი სიღრმისეული ცოდნა, კანდიდატი ლოგიკური მსჯელობით მიდიოდა გარკვეულ დასკვნამდე, თუმცა მისი პასუხი საბოლოოდ დარჩა ბუნდოვანი. გარკვეულწილად ბუნდოვანი პასუხი იქნა გაცემული ისეთ სამართლებრივი სახის შეკითხვაზე როგორიცაა საკასაციო პალატის მიერ ნორმათა განმარტება და სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებისათვის.

			კანდიდატმა (მისივე მითითებით) თავი შეიკავა პასუხის სიღრმისეულად გაცემაზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის, ალბათობის მაღალი ხარისხის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის ცნებებსა და მათ შორის სხვაობების განმარტებაზე. კანდიდატს დაესვა შეკითხვა მატერიალური და ფორმალური დანაშაულის შესახებ, რაზედაც კანდიდატის პასუხი იყო არასაკმარისად ამომწურავი. რაც შეეხება კანდიდატის ცოდნის დონეს საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ცოდნის კუთხით, დასმულ შეკითხვაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღნიშნული მუხლის გადახვევის პრინციპზე, კანდიდატმა გასცა პასუხი, თუმცა არა სიღრმისეული და შეძლებისდაგვარად წარმოაჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხის მიმართ. დასმული იქნა, ასევე, შეკითხვა ღირსებისა და პატივის ცნებების შესახებ, რაზეც კანდიდატმა წარმოადგინა თავისებური ხედვა. კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრებით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი არ იცნობს სიღრმისეულად საერთაშორისო ნორმებს და პრაქტიკას და გარკვეულ

			ასპექტებში უჭირს საკითხის პრაქტიკულად გააზრება.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**25**	***სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით*** - მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი შუამდგომლობის („უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ“) და საჩივრის („ახმეტის სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის ბრძანებაზე“) გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას სამართლებრივი სახის კითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი. ლევან კოკორაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**	***წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

			კანდიდატის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის და საჩივრის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ წერილობითი მასალა იკითხება ადვილად, აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. საჯარო გასაუბრების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, აქვს სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები	**13**	**15**	***პროფესიული თვისებების მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით შემიძლია დავასკვნა, რომ ლევან კოკორაშვილი აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**	***აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

			მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი დღეის მდგომარეობით არ ეწევა პედაგოგიურ და აკადემიურ საქმიანობას. რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ როგორც სიახლეების მიმართ ღია პიროვნებას.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	***პროფესიული აქტივობის მახასიათებლით-*** კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა სამართლებრივ საკითხებზე გამართულ არაერთ შეხვედრასა და ღონისძიებაში.
ქულათა ჯამი	**80**	**100**	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ლევან კოკორაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმს, კანდიდატს ჯამში ვაფასებ 80 ქულით.		

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021